

გაზეთის ფასი

თვილი ფასი	6 მან.
წლილი ფასი	70 მან.
საბჭოს ფასი	2 მან.
საბჭოს ფასი	1 მან.
საბჭოს ფასი	1 მან.
საბჭოს ფასი	1 მან.

დროება

ხელის-მოწერა მიიღება

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიძის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ამატუნის სახლში.
 თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღრესით: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.**
 ქუთაისში — **ლ. ლ. ლ. ა. ს. თ. ა. ს.** — პოლიციის ქუჩაზე მელიქონ პალიციის სახლში.
 აქტორს ორი თვის განმავლობაში შეუძლია უკანვე მიიღოს თავის ხარჯით სტატია, რომელიც გამოგზავნილი იყო „დროებაში“ დასაბუქდათ, მაგრამ, რომლისაზე მიზეზისა გამო, არ დაბეჭდა.
 თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეამოკლებს, გამოგზავნილ სტატიასა და ისე დაბეჭდს გაზეთში.

საკოლონიკო და სალიბერატურო გაზეთი.

წელიწადი მისუთი.

ხელის-მოწერა „დროებაზე“ შეიძლება

თფილისში — „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიძის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, **ბ. ამატუნის** სახლში.
 ქუთაისში — გერასიმე ქალაქდარიშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და **ლ. ლ. ლ. ა. ს. თ. ა. ს.** — პოლიციის ქუჩაზე მელიქონ პალიციის სახლში.
 თფილისის და მთიანის გარეშე მცხოვრებთა შემდეგი აღრესით შეუძლიანთ დაიბარონ მათი: **Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-о.**

ხელ-მოწერის ფასი:

მთიანის ფასი	6 მან.	კაპ. მან.	7 მან.
წლილი ფასი	3 მან.	50 მან.	4 მან.
საბჭოს ფასი	2 მან.	2 მან.	50 მან.
საბჭოს ფასი	1 მან.	75 მან.	1 მან.

გამოგზავნა ხელის-მოწერას უმოკლესად ვითხოვთ, დაბარების თანა-გამოგზავნონ რედაქციაში გაზეთის ხელ-მოწერის ფასი და გარკვევით და-ბარების თარიღით აღვანი, **მ. ი. საცხოვრებელი ადგილი, სახელი და გვარი.**
 აქ ფასი ხელის-მოწერას უმოკლესად ვითხოვთ გაზეთის ფული ვალე მისაღებად.

შინაარსი:

განცხადება „დროების“ გამოცემაზე. — თფილისის საკოლონიკო კურსები და ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საქართველო — „დროების“ კორესპონდენცია შორაპნიდამ, — წერილი ამბები. — რუსეთი — წერილი ამბები. — მისი ამბები. — უცხოეთის ამბები: — საფრანგეთი, — გერმანია. — ამ კვირის მოვლენები. — ნარევი. — განცხადებები.
 შელოტონი — ტოლქმრობით ვაჭრობა — **ბ. სკანდელიანი.**

თფილისის საქალაქო კურორტი და ჩვენი სასოფლო-სამეურნეო საქართველო

აგერ წელიწადი მიდის, რაც რამდენთავე ექვეთსო მსწავლებელთა გამართვის აქაურ

ფელტონი

სოლ-მაროზით ვაჭრობა (ჭანტაზია) *

ჩვენში, ამ უკანასკნელ დროში, ძლიერ მოხდა იყო ანგარიშით ქალის გათხოვება და მათი დაბრუნება. აღამიდან დაწყებული, ჩვენ მუდამ ვხედავთ და ვემძლე ნათესავებს ეცხიძობდით ევმოყვრებოდით; ქალის გულს კი, ხასი-და გრძნობას ერთ ბისტათაც არ ვაგდე-ვით.
 ეს ვაჭრული, ბაზრული სიყვარულის და მათი ხმარება ყველას თვალ-წინ აქვს; რამდენიმე ჩვენ თავისი უხეირობით როდი ვაჭრებს და გვაწუხებს: ჩვენ იმას თვალ-საშუალოდ ვხედავთ, შეეჩვიეთ და ისეთი გარემოება-თი შეეჩვიეთ, რომ ხანდისხან ჩვენ თვითო-რი მის ბაზრულ ხასიათს ვივიწყებთ.
 ჩვენ ვაჭრული ვაჭრული კი ეს ჩვენი ორბირუ-თისთვის ავის და ქვეყნის მატყუებელი საქცი-ლი არ მოსწონება. „თუ სიყვარულში პირ-ის საქმე ვაჭრული ანგარიშია, უფიქრია იმას, საზოგადოება შეურაცყოფით სდევნის იმ-საქმარს, რომელიც მართო წმინდა სიყ-ვარულში შეეჩვიეთ, და აღტაცებით იღებს იმთ, რომელიც შეეჩვიეთ ანგარება და ვაჭრუ-ლის ანგარიში იყო, სულმოკლეობა და დედა-ბაბა ჩანტაზიის საგანი გავიღო დროებას ეკუთვნის.

კლასიკურ გიმნაზიასთან საქალებო კურსები. მამართველების აზრით, ამ კურსების დანი-შნულება ის არის, რომ მისცეს სწავლის შე-ესების საშუალება იმ ქალთა, რომელთაც მა-სწავლებლობით ჰსურთ მოემზადონ; მაშასადამე ეს არის პედ-გოგოური კურსები, საცა მოემ-ზადებიან შემდეგი გუერჩანკები, შკოლების მასწავლებლები და დედები.
 ათასი მაგალითით დამტკიცებულია, რომ შკოლებში და შინ ყმაწვილის აღზრდას ვერა-ვინ ვერ მოახერხებს ისე, როგორც ქალი; არაფის არ შეუძლია ისეთი გავლენა იქონი-ოს ყმაწვილზე, როგორც დედას, თუკი იმას,

ბრობა არ არის კაცისთვის, ათას ნაირი მო-ხერხებით და ოსტატური მანქანობით უმაღლე-დეს ქვეყანას და თავის თავს, რომ ის იქცევა სრულიად ისე, როგორც მთელ საზოგადოე-ბას მოსწონს და სურს? სულმოკლეობა და დედაბრობა არ არის კაცისთვის, რომ ვაჭ-რულ ყოფაქცევას ის ვაჭრულ სახელს ვერ არქმევდეს?

„რაკი საზოგადოება, ცოლქმრობის საქმე-ში, განსაკუთრებით ვაჭრულ ანგარიშს აფა-სებს, მე იმოდან თავს არ დაეიმდაბლებ, რომ პირდაპირ არ მოვიქცე ისე, როგორც ვაჭრე-ბი იქცევიან; ენახოთ აბა მაშინ, ვის შეეძლე-ბა — ჩვენი საზოგადოებიდან — ჩემი შეურაც-ყოფა და გმობა.“
 აქ უფიქრია იმ ახალგაზდა კაცს, რომელ-საც მე გემუსაიფებით, და ეს გადაწყვეტი-ლება მიუღია იმას, როცა თავისი სწავლის ნახევარი ნაწილი შეუსრულებია და ტუჩებზე-ით ღინღლი უგრძენია.
 მაშინ, ამ ახალგაზდა კაცს შემდეგი პლანი შეუდგენია, და კიდევ ასრულებს მოუყე-ვია.
 მათი საქართველოს ქალაქში — სადაც ყოველ-ნაირი ხალხი, და მაშასადამე ქალიც იპოება — ამ კაცს ერთი ახალგაზდა ქალი მოუძებნია, რომელსაც მზითვით ათასი თუმანი ჰქონია დანიშნული. ძალი მოუძებნია რომ ეთქვი, ეს თქვენ ისე უნდა გაიგოთ, რომ იმას შეუტყუა

როგორც ჩივია, ესმის თავის დანიშნულება და იცის აღზრდის ხელობა. არაფის არ შეუ-ძლია ისე ხელოვნურათ მოექცეს და წახა-ლისოს სწავლაზე შკოლის ყმაწვილები, რო-ხორც ქალს-მასწავლებელს. და რადგანც აღზრდაზე და სწავლაზე ბევრათ არის დამო-კიდებული ჩვენი კეთილდღეობა და ბედნიერი ცხოვრება, მაშ ცხადია, რომ ქალების განათ-ლებაზე დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცე-ული. საუბედუროთ, აქამდი, და ხშირათ ახ-ლაც, ჩვენ მუდამ ამის წინააღმდეგ მაგალი-თებს ვხედავდით და ვხედავთ კიდევ: ჩვენი სა-ზოგადოების აზრით, მაგალითად, ქალისათვის საფუძვლიანი სწავლა და სხვა და სხვა მეც-ნიერების ცოდნა სრულებით საჭირო არ არის. ჩვენი დედ-მამების უმეტეს ნაწილს ვერ და-არწმუნებ, რომ იმათ ქალებისათვის ფრანკუ-ზულ ენაზე ბურტყულისა და ფორტუბიანოზე რხა-რუხის მეტი რამ იყოს საჭირო; თუკი ამასთან ქალს რომელსამე პანსიონში სწავლა შეუსრულებია, მაშინ, დედის აზრით, ის მეც-ნიერთ უმცენიერესია და მეტი სწავლის მი-ღება იმას აღარ სჭირია.

იმის დასაბუქებლათ რომ მართლა ასე პტიქობენ ჩვენი დედ-მამები, შეგვიძლია მო-ვიყვანოთ ის გარემოება, რომ იმ საქალებო კურსებში, რომელზედაც ჩვენ ელაპარაკობთ და რომელშიაც, უტყველია, პანსიონებზე უკე-თისი და უმაღლესი სწავლაც არის, — ოთხმოც ქალში ქართველი თუთხმეტი თუ იქნება მე-ტი არა; დანარჩენი მომეტებული ნაწილი სო-მხის და რუსის ქალები არიან. ჩვენ დარწმუ-ნებული ვართ, რომ ამ თუთხმეტ ქალშიაც

ამ ნაირი ქალის ყოფნა. მისულა, ამის შემდეგ, ის ათას თუმანიან ქალის დედ-მამასთან, და გამოუხატია მათთვის თავისი პრო-ექტი.

„მე შეეასრულე სწავლა თფილისში; რუ-სეთში რომ შემეძლოს სწავლა, და იქ სამი ოთხი წლით დარჩენა, მე ჩინებულ კაცად დაებრუნდებოდი: ადგილი კარგი მექნებოდა მაშინ, ჯამაგირიც კარგი და სახელიც. მაგრამ ამის შეძლება მე არა მაქვს. — თქვენ გაყეთ ქალი. მოდი, მომეცით მე ეხლა ორასი თუ-მანი, და რუსეთში სასწავლებლათ გამოგზავნეთ; მე თქვენ კანონიერ ხელწერილს მოგცემთ, რომ, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ყოვე-ლის უარის უთქმელათ, თქვენი ქალი შევიერთო და მაშინ დანარჩენი რვა ასი თუ-მანი მივიღო.“
 ისტორიას ჯერ კიდევ ვერ შეუტყუია, რამ-დენ ხანს და რა ნაირათ გაგრძელდა ამ სა-განზე საუბარი და რა რიგათ ივაჭრეს სიძე-სი-მამრმა. მაგრამ, მათი ვაჭრობის საბუთი, მათი პირობა, შემდეგი შემომომავლობის სასწავლე-ბლათ და გასაკვირებლათ ერთი თფილისელი კანტორაში შენახულია.

მისაც ჩვენი გაზეთისთვის თვალის უდევნე-ბია, იპან კარგათ იცის, რომ ჩვენ თვამო-მეტებულათ ეცდილობთ მკითხველისთვის სა-სარგებლო და გამოსადევი ცნობები შეეკრი-

ზოგიერთებს ბევრი ხეწენა და ჩხუბი გაუწე-ვიათ, სანამ კურსებზე ლექციების სმენის უფ-ლებას მიიღებდნენ ისინი დედ-მამებისაგან.

ხშირათ გავგიგონია ზოგიერთი პირებისა-გან, რომ ქალები ჭკუა-გონების გასამდიდრე-ბლათ და სწავლის მისაღებად კი არ დაიარე-ბიან კურსებზე, — მოდა არისო და იმიტომ დაიარებიანო. ამაზე აი რას ვიტყვი: შესა-ძლებელია მართლა, ზოგიერთები სწავლობ-დენ, იმიტომ რომ ქალების განათლება მოდათ მიანდეთ; მაგრამ რას დასდევთ თქვენ, რაც უნდა ჰქონდეთ იმათ სახეში? მიიღონკია სწავლა და რისთვისაც უნდა მიიღონ, ნუ გე-ნაღვლებათ, ეს იმათი სწავლა ყოველს შემ-თხვევაში სასარგებლოთ დაგვიჩება. ამას გარ-და, მართალი გითხრათ, მოდისთვის სწავლის მიღება უფრო სასიამოვნო და კეთილშობი-ლური საქმეა, ვიდრე ამ მოდისთვისეც ახალი კაბების ჩაცმა და იმათ თავის მოწონება, რო-გორც აქამდი შერებოდენ ჩვენი ქალები.

როგორც უნდა იყოს და რისთვისაც უნდა იყოს კურსები გაიხსნა და ოთხმოც ქალამდი დაიარება იქ სწავლის მისაღებათ. ახლა ვიკი-თხოთ: რა გვარ სწავლას იღებენ ამ კურსე-ბში ჩვენი ქალები? მამართველების გამოც-ხადება პირ-და-პირ გვიასუსხებს ამაზე, რომ კურსებს პედაგოგიური ხასიათი აქვსო, და მაშასადამე, კურსებში ისეთ სწავლას უნდა იღებდნენ ქალები, რომელიც ყოველი დედი-სათვის და საზოგადოთ ყმაწვილის აღმ-ზრდელისათვის აუცილებლათ საჭირო არის. მაგრამ, როგორც გავგიგია, კურსების პრო-გრამა არ ეთანხმება იმათ დანიშნულებას; იქ

ბოთ. მაშასადამე ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ, როგორც ჩვენ ეს ამბავი შევი-ტყუეთ, იმ წამსვე ამ ახალ-ნაირი დოკუმენტის ძებნას შეუდგეით. მაგრამ, კანონი სასტი-კათ ეპრობა თურმე სხვისი საიდუმლოს გა-მოფენას. ამის გამო იმ პირმა, რომელ-საც ეს დოკუმენტი დამტკიცებია, ყველა ჩვენ თხოვნაზე ერთნაირი პასუხი გვარტყა: „კანო-ნი სხვისი საიდუმლოების გამოაშკარებას მი-კრძალავს!“
 +
 ბევრი ცდის შემდეგ, გადამწერების და წა-მკითხველების გამოკითხვით, ჩვენ როგორც იქნა შევიტყუეთ ამ დოკუმენტის შინაარსი, და თუმც მისი პირი ვერ ვიზოვნეთ, ჩვენი ჭან-ტაზიის დახმარებით მაინც შეგვიძლია მისი შეთხზვა და სახელების გამოგონება. ჩვენი აზრით, ეს პირობა შემდეგ ნაირათ უნდა ყო-ფილიყო დაწერილი:
 +
 მექსილი ცოლის-შერთვისა.

დღეის რიცხვიდან ოთხ-წელიწად ნახევრის შემდეგ, ესე იგი 18 მარტს 1870 წელს დადებუ-ლი ვარ მე, ყოველის უარის უთქმელათ, შე-ვიერთო კანონიერი ქორწილით ახნაურის და-ვით შანდალაშვილის უფროსი ქალი, სახე-ლათ დარია, მისი ათასი თუმანიანი მზითვით; რომელ რიცხვში ორასი თუმანი წინდა-წინ ნაღდ ფულათ მივიღე. — სექტემბრის 18 1870 წ. ახნაური პეტრე ბოხიძე.
 +

ასწავლიან: საზოგადო ისტორიას, მათემატიკას, ბუნებრივ საფუძვლებს, რუსულ ენას (სამ საგნათ არის გაყოფილი) და გეოგრაფიას. მინ არ იცის, რომ ყოველი აღმზრდელისათვის, და განსაკუთრებით დედისათვის, აუცილებლად აქირაა ჰიგიენის ცოდნა, ე. ი. ისეთი მეცნიერებისა, რომელიც ასწავლის სიმრთელის მოვლას. შევლავ ვასაკვირველი ის არის, რომ ამ პედაგოგიურს კურსებში პედაგოგიას არ ასწავლიან, ე. ი. არ ასწავლიან იმ საგანს, რომელიც ყველაზე უფრო საჭიროა ყოველი აღმზრდელისათვის. ამას გარდა, თუ ამ ქალები პედაგოგები გამოვლენ, უეჭველია, რომ უმეტესი ნაწილი იმათგან იქნება იმოქმედებენ, ჩვენ შეიძლება ასწავლიან და ჩვენში იცხოვრებენ; მაშასადამე იმათთვის აუცილებლად საჭიროა აგრეთვე აქაური, ადგილობრივი ენების ცოდნა, რადგან პირველ-დასაწყისი სწავლა ყოველთვის მშობლიურს ენაზე უნდა მიეცეს ყმაწვილსა. მაგრამ კურსების პროგრამაში არ არის არც სომხური და არც ქართული ენა. ჩვენის აზრით, ეს ისეთი ნაკლებობა არიან, რომელთაც კურსების გამართვებში უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება. ამ საგნებზე კურსებს პედაგოგიური ხასიათი სრულიდ არა აქვთ.

რასაკვირველია, კურსები, თუნდ პედაგოგიური ხასიათი არ ქონდეთ იმათ, უამისოთაც ბევრ სარგებლობას მოუტანენ ჩვენ საზოგადოებას, როგორც ერთი საშუალებათაგანი ქალების ღირსი გადმადგობისა. მაგრამ ჩვენ, როგორც რუსეთში და სხვა ქვეყნებშიაც დიდ ნაკლებობას ვგრძობთ სასოფლო შკოლების მასწავლებლებში, და ამ საქმეში უფრო სხვახარისხით გამართული კურსები ძალიან დაგვეხმარებოდნენ.

ოტ-ოტოთი იხსნება ჩვენში სასოფლო შკოლები; მაგრამ, საუბედუროდ, ამ რამდენიმე შკოლებისთვისაც გვიქირს მასწავლებლების მოვნა. მითქმის ყველგან ამ შკოლებში ან სემინარიები, ან გიმნაზიებში სამკლას შესრულებული და ხან გადამდგარი უნდერ-აფიცურები ასწავლიან. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამნაირ მდგომარეობაში მყოფ სასოფლო შკოლისთვის პედაგოგიური კურსებიდამ გამოსული ქალები უკუდავების წყარო იქნებოდნენ. მაგრამ, თვითონ პროგრამა-

მას გარდა, ერთი სხვა გარემოებაც დაუშლის ამ კურსებს შკოლებისათვის მასწავლებლების მომზადებას: ერთობ ბევრს ახდენენ სწავლის ფასს; ნახევარ წელიწადში თხოუთქმისა და ოც მანეთის მიცემა ყველას არ შეუძლია; და ვისაც კი შეუძლია, იმათი ცოტა იმედი უნდა გვექონდეს, რომ სოფელში წავიდნენ შკოლის მასწავლებლებათ. მართლაც, ახლა თითქმის მხოლოდ შეძლებულების ქალები დაიარებიან კურსებზე და ამა ისინი როგორ წავლენ სოფლებში, ან ქალაქში რათ იკადრებენ მასწავლებლობას? მაშინ როდესაც ღარიბი დედ-მამის ქალები, ნებით თუ უნებურათ, იძულებულნი იქნებოდნენ დამდგარიყენ მასწავლებლებათ, თუ კი ეს შრომა იმათ ცხოვრების ღონისძიებას მისცემდა.

მართალია, ჯერ ჩვენში არ ყოფილა მაგალითი, რომ ქალი ასწავლიდეს სასოფლო შკოლაში; მაგრამ ქალაქის შკოლებში და პანსიონებში ხომ ასწავლიან და გვეგონია, ესეც საკმაო იყოს იმის დასამტკიცებლათ, რომ ქალებს, კაცებზე უკეთ თუ არა, იმათსავეთ მაინც შეუძლიათ სწავლება. მთუ ეს არა კმარა, მაშინ ჩვენ წარმოგიდგინთ სარატოვის თემობის აზრს, რომელიც განსაკუთრებით ქალებისთვის ხსნის სამასწავლებლო სემინარიას, სადაც სასოფლო შკოლებისთვის მასწავლებლები უნდა მოეზადონ. ამას გარდა ამერიკის შეერთებული შტატები, სადა ხალხის განათლება (სასოფლო შკოლები) ქალების ხელშია და სადაც ისე კარგათ არის ხალხში გაერცლებული სწავლა და განათლება, — განა არ გვიმტკიცებს, რომ ქალები ამ საქმისთვის დაუფასებელი არიან?

ბოლოს ვინატრით, კურსების მოთავეებს ისე წაეყვანათ საქმე, რომ იქ ნასწავლ ქალებს, თავის მოქმედებით და ცხოვრებით, შეეძლოთ საზოგადოებისათვის დამტკიცება, რომ სწავლის მიღება ქალებისთვისაც აგრეთვე საჭიროა, როგორათაც კაცებისთვის.

ის გარემოება, რომ შარშან ას ქალზე მეტი დაიარებოდა კურსებზე და წელს მართლ-ოთხმოცი დადის—პირველი შეხედვით—აფიქრებინებს კაცს, რომ კურსებში რიგანათ არ ასწავლიან და იმიტომ მოაკლდა მსმენელები. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს იმას ამტკიცებს, რომ შარშან ზოგი ისეთები დადიოდნენ,

რომელთაც უნდოდათ ამ ახალი საქმის გატანობა და ეგონათ, რომ ხუმრობით და უჯაფოთ შესძლებელია სწავლის მიღება. წელს ზოგი ამისთანა პირები ჩამოსცილიან და დარჩენილან ნამდვილნი მურველნი სწავლის მიღებისა.

სამართველო

წინანდელ, 49, №-ში, სტატიაში—„მთელი სი და მთ შეთამ დი და უკან“, ორი შკოლა არის: ერთი ის, რომ იქ მოყვანილი ლექსი პრაგზე ეკუთვნის ნ. ბ. ბ. რათა შვის და არა თ. ბ. მ. რ. ბ. გ. ე. ა. ნ. ს, როგორც იქ იყო ნათქვამი, — დამოკრე — უკანასკნელ სტრიქონში სიტყვების: „მარემოს მისა კაეშის მთანი“ ს მაგიერათ უნდა იყოს — „მარემოს თვისა ატეხილს ქალებს.“

შორაპნიღან

(„ლორების კარგხმონდენია“)

ამ ნოემბრის პირველს გაიხსნა სახალხო შკოლა შვირილის სტანციაში. ეს სახალხო შკოლა გახსნა, თავის ხარჯით, ერთმა აქაურმა შორაპნიღამ ბლალოჩინმა მღვდელმა დავით ლაშაშიძემ. იმას გაუკეთებია სახლი შვირილის სტანციაში, რომელშიაც მოუწყვია ერთი ოთახი შკოლისათვის. პირველად, შკოლის გახსნაზე, ბევრი არ იყო შვირების რიცხვი; მაგრამ ბოლოს, როდესაც გაიგო საზოგადოებამ, ძლიერ ბევრმა მოსწავლემ შეიყარა თავი. ღღეს შვირების რიცხვი რომოც და თხუთმეტი არის და, როგორც ამბობენ, კიდევ მრავალნი არიან მსურველნი. ძლიერ გასაკვირველია, რატომ არ იყო აქამომდე შკოლა შვირილის სტანციაში, სადაც მცხოვრებლები გვირანათ ბევრი არიან და ამასთან შვირილის სტანციაში, ანუ ზესტაფონისას, გარეშეა არტყია ძლიერ კარგი სოფლები, მე დავესწარი პირველად შკოლის გახსნაზე და ორი კვირის შემდეგ კიდევ მივედი შკოლაში, — მიხროდა გამეგო, თუ როგორი მითოდით ასწავლიდნენ შვირებს.

წინათვე დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ იქნებოდა ხმარებული ადამისწლის შეთოდა,

მაგრამ, ჩემდა სასიამოვნოდ, თურმე ძლიერ მოტყუებული ვიყავი ამის შესახებ. შკოლის გამხსნელი ხმარების ახალი სწავლის მთოდან. ძლიერ მამეწონა ისა, რომ პირველადვე მიუტყვევია მას ჯეროვანი ყურადღება სამშობლო ენის სწავლაზე. ანბანს ქართულად და რუსულად ასწავლის მოძრა ასოებით. სხვა ჯერეთ არ შეიძლება კაცს სთქვას რამე შვირების სწავლებაზედ სწავლაზედ და ბოლოს, იმედი მაქვს, მოვლანარკები „ლორების“ მკითხველებს ამას რადგან ეს საგანი, უეჭველია, საინტერესო უნდა იყოს საზოგადოებისთვის. როგორც გავიგე, ამ შკოლის გამხსნელს ძლიერ მსურდა კიდევ უნდა, რომ ქალების შკოლაც გახსნას შვირილის სტანციაში, თუ საზოგადოება ცოტა რამე შემწევობას მიიწ მისცემს.

1870-სა წელსა ნოემბრის 30 სა

ნოემბრის 28-ს პეტერბურლის გეოგრაფიული საზოგადოების სტატისტიკურს განყოფილებაში სხვათა შორის ინჯინის პოლკოვნიკს, უფ. რომანოვს, ულაპარაკნია ძაეკასი რკინის გზებზე; ჯერ იმან სთქვა რამდენი სიტყვა ახლანდელ ძაეკასის ეკონომიურ მდგომარეობაზე და იმაზე თუ რა მნიშვნელოვანება, ომიანობის დროს, ძაეკასის რკინის გზებსა. უფ. რომანოვის აზრით, ძაეკასი რკინის გზებს უნდა ჰქონდეთ შემდეგი მნიშვნელობა და მიზანი: 1) ისინი უნდა დაეხმარონ ძაეკასიაში სხვა და სხვა ნაწარმოებების მოყვანას და ამ ნაწარმოების რუსეთის შიგნით და ქარსებში გასაღებას. 2) ამ რკინის გზების საშუალებით, ძაეკასია უფრო მდროთ უნდა მიეკავშიროს რუსეთსა. 3) უნდა დაეხმაროს რუსების დასახლებას ძაეკასიაში და საზოგადოთ რუსობის გაძლიერებას 4) ჯარების რიცხვის და ამასთანავე სამხედრო ხარჯის შემცირებას და მის ნაცვლათ შიგნის ნაპირების გამაგრებას. 5) რუსეთს უნდა დაეხმაროს აღმოსავლეთთან ვაჭრობაში 6) უნდა შეამოკლოს გზა მეროპასა და მს. ინდოეთს შუა და მით უნდა გააადვილოს ორ ქვეყნის ერთმანეთთან კავშირი და ვაჭრობა. — ამ მიზნების ასასრულებლათ, უფ. რომანოვის აზრით, რკინის გზა, როსტოვი-

სხვა საგნებს შუა, უნივერსიტეტებში ერთს ასწავლიან, რომელსაც სახელათ „ვექსილის სიმართლე“ ჰქვია (версельное право), და რომლის დანიშნულება ვექსილის კანონების და წესის ასხნაა. ამ „სიმართლეში“, სხვათა შორის, ნათქვამია: ვექსილის უმთავრესი ღირსება და სიკეთე ის არის, რომ თითქმის ნაღდ ფულსავეთ გასაღება შეიძლება იმისი, რადგანც მისი გადაცემა ძლიერ ადვილია, უნდა მართლ-მეორე გვერდზე ორიოდვე სიტყვა დააწეროს კაცმა, ასე: „გარდაუხადეთ ამა და ამ პირს.“ — მის ღირსება და პირობა, მგონია, ჩვენში იმისთანა პირებისთვისაც ცხადია, ვისაც უნივერსიტეტი სიმართლაც არ მოჩვენებიათ: ამ საგანს ნოტარიუსი და „სუდენი პრისტავი“ ყველა პრაქტიკოსებზე უკეთ გაავრცელებენ ხალხში....

მაშ ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ გასათხოვარი ქალის დედამას უკეთესი საქმრო შეხვდა, ანა და გასათხოვარი ქალი გადაშურდა და მოკვდა, ანა და მოხდა საკვირველება, ქალმა თვითონ თავისი გულის და გრძობის შესაფერი საქმრო მოინდომა. ღააკარგოს ამ ჩვენ ღვით შანდალაში მისი გლეხების ოფლით და შრომით მოანაგები ორასი თუმანი?

ბონიერი კაცისთვის ეს კითხვა თავის სამტრევეი როდი უნდა იყოს: როგორც ვალის გააქვს ნება აქვს თავის მოვალეს მოთხოვას, რომ იმან ვალი მესამე, დანიშნულ,

პირს მიართვას, ცოლის-შერთვის ვექსილიც ამ ნაირათვე უნდა გადაიცემოდეს. ღა ღვით შანდალაში ვექსილის მეორე გვერდზე ამ სიტყვების დაწერაც უნდა შეეძლოს: „შეირთეთ ჩემი მესობელი ზურაბა ბუზიაშვილის და.“

ქანონისამებრ, მოვალემ ხმა ამოუღებლათ უნდა გარდაუხადოს ვალი იმ პირს, რომლის სახელი ამ ნაირათ ვექსილზე წარწერილია. მაშასადამე, ჩვენმა პეტრე ბოხიძემაც, დანიშნულს ვადაზე, მშვენიერი ფრაკი უნდა ჩიცვას, თავისი სახლის კარებში გაჩერდეს, და იცადოს, ვინ მოუტანს ოთხ წელიწად ნახევრის წინ დაწერილს ვექსილს, და ვისთან შეაფრთხვებს მას „ვექსილის სიმართლე“ და ბედნი.

შეიძლება წარმოვიდგინოს კაცმა მისი გრძობის და გუნების მდგომარეობა, როცა, საღამოს რვა საათზე, მისი ვექსილის ძალით, ჯვარდასაწერათ ერთი უხვირო, უშნო და უკბილო ბებრუხანა წამოადგება! მაქვსთ სიტყვბლი, ის მაშინ თავზე ხელს წაიშენს და ხმა მალლა ღრიალს დაიწყებს, ეს უსამართლობაა, მე სხვა ქალზე გავრიგდი, და ეხლა ვხლაც ოხერ-ტილას მართმეინებენო!....

აბა, გამოზრდნლით მაშინ ვინც პირველი მჭევრ-მეტყველი ხართ, და დაჯერეთ ეს ახალგაზდა, რომ ოთხ წელიწად ნახევარში, თუნდ

რომ ვექსილის პატრონს ვექსილი სხვისთვის არ გადაეცა, თვითონ ბუნება და დროება უარესს ცვლილებებს მოახდენდა იმ ქალის ხასიათში, რომლის სახელი თვითონ ვექსილში ნახსენებია. ღა ჯერის წერის დროს, იმას სულ სხვა ხნობის და ხასიათის ქალი ამოუდგებოდა ეკლესიაში, მინემ ის ქალი, რომელიც ვექსილის დაწერის დროს ენახა და გაეცნო (თუ კი მართლა უნახეს და გაუცნია).

აჰ, თქვენც არ მომიკედეთ, თქვენ იმას ეს აზრი ვერ გააგებინათ. ძაცს ისეთი ბუნება აქვს, რომ ძლიერ მალე იგებს მისთვის სასარგებლო და გამოსადეგ აზრს, თუნდაც რომ ეს აზრი ელვასავეთ გაკრას ვინმემ მის წინ. სამაგიეროთ, თუ კი რამე აზრი მის ჯიბისთვის და მდგომარეობისთვის საგნებელია, ათასნაირი საბუთებითაც რომ დაუმტკიცოთ, სულ ერთია, მაინც ვერ დაჯერებთ, და აზრს პალოთიც ვერ ჩაუტყდთ თავში. — ჩვენი პეტრე ბოხიძეც, ამნაირათვე, თავის სიტყვებში დარწმუნებული იქნება, რომ სხვა ქალის ჯვარდასაწერათ მოყვანით, ის დატყუეს...

ხომ სასაცილოა, მკითხველო, ამ მდგომარეობაში ჩვენი დატყუებული და გაჯავრებული ბოხიძე? ხომ უადვილოა მისი წყრომა და ლანძღვა? ხომ უსაფუძვლოა მისი ყვედრება? მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ ამ საგანზე დაფიქრებაც არ გჭირია, ისე იტყვი: „რასაკვირველიაო.“

პარგი, მაგრამ ამ ბოხიძემ რა დაწერა ქნა ისეთი, რომ ჩვენ ყველანი ყოველთა არ ვშვებოდეთ? მითომ, გულწრფელი იყო და ქალღღზე დაწერა ის, რისაც და რას ჩვენ ვერ ვხედავთ და რასაც ჩვენ მათ, მაქანკლების საშუალებით, ვშვებობთ ამისთვის ის სიცილით და ხარხათით ჩასვლავია? მთუ ღმერთი გწამთ, მითხარით, რომ ის იმ კაცზე უფრო სასაცილოა, რომელი მზითვის გულისთვის, თითქმის ძუძუ მწო ბავშვს ირთავს, ანა და ქალის ხასიათის ცნობლათ, მზითვის დაუასებით, ჯერის ღირის სიტყვას აძლევს?

ამ პირების ცოლების ხასიათიც ისე მალსრულიად შეიცვლება, როგორც ჩვენი პეტრე ბოხიძის საცოლოსი: იმათსაც ცოტა ხნის მდეგ გვერდში სრულიად „სხვა“ ქალები გვხვებოდათ, ისინიც ცოლში ხშირათ ბევრ უსიამოვნო მხარეებს დაინახვენ... მაშ ამ რებს რატომ არ დასცინით, და მართლ-ლო პეტრე ბოხიძეს რას ჩასცივებხაროთ?

შველანი, ჩემო მკითხველო, ერთნაირი არიან: ყველა „ვაჭრობს“ და ვაჭრობაში ზოგი იგებს, ზოგი აგებს. მაგრამ, თუ შენ მართლიანი კაცი ხარ, ყველას, წაგებსაც მომგებსაც, ერთ ნაირათ უნდა მოექცე: ერთნაირათ უნდა თქვა — ეს უპატიოსნო რობა იყო, პატიოსან და გონიერ პირებს ამ ნაირი გაწყობილება და საქციელი, იმის დატყუება და ანგარება, არ უნდა იქ თქვა...“

დოკუმენტი პირდაპირ მთებზე კი არ იყოს გადაყვანილი; ბევრათ უკეთესი იქნება, რომ შემოუჩვიოთ მთებსა და ეს სპიის ზღვის ნაპირას გავიყვანოთ. პირდაპირ მთებზე გადაყვანა რკინის გზისა, უფროსად გამოანგარიშებით, 25 მილიონათ ღირსება და ძნელი გასაყვანიც იქნება; და როგორცდამ ბაქოსაკენ მოხვეული გზა კი, მართალია გვილი იქნება, მაგრამ ასე ძვირათ დაჯდება და არც ძნელად გასაყვანი იქნება.

რუსულ გზებში აი რასა სწერენ: „ამ უკანასკნელ დროს შოთში გაბატონის ქარხანა, რომელშიაც ამჟამად ბეტონის ქვებს პორტისათვის; გამარჯვებულ მესხიკური ხის სახეობი ქარხანა და მთელი ცემენტის (გაჯის) ქარხანა აღადგურს ან პორტს აკეთებენ იმ ალასაკა რიონი ჩაერთვის შავ ზღვას; ეს აღადგურს და გააძლიეროს და ჩააღრმავოს. მცოკრები ამბობენ, ამ ალავის მაგიერ, პანტონში რომ გაეკეთებინათ ნავსადგური, უფროსი იქნებოდა. პალიატომის ტბა შოთს სამხრეთით არის და ამ ტბაში იქ, საცა უფრო გამოდის იმისაგან, ნავსადგურის გაკეთება უფრო ადვილიც იქნებოდა და უფროსად დაჯდებოდა.“

ამ საგანზევე ამ მოკლე ხანში მოლაპარაკება იყო პეტერბურგის „ეკონომიურ საზოგადოებაში“ და ამოჩნდა, რომ მეყველებთ ამხანაგობებს გარდა, ბევრი სხვა რამეც მოჰყავთ თურმე რუსეთის სოფლებში ამხანაგობითა. შუ. წინდს გაუმართავს ტყერისა და ნოვგოროდის გუბერნიის 28 ამხანაგობა მკვლელების; თითო ამხანაგობაში რამდენიმე მკვლელი არიან თურმე და ერთად აწარმოებენ და ვაჭრობენ. შუ. სოკოლოვს გაუმართავს სელის მკვთებლების არტელ (ამხანაგობა) პსკოვის გუბერნიის შუ. ქამენცი მართავს სახამებლის ქარხანას, რომელიც არტელის საკუთრება იქნება. შუ. სილვესტროვს გაუმართავს ტყერის გუბერნიის რამდენიმე სხვა და სხვა საგნების მაწარმოებელი არტელები; და მხოლოდ პირველათ მოუშართავს ამ არტელებისათვის ხელი, შემდეგ კი თითონვე წაუყვანიათ თავიანთი საქმე; სხვათა შორის უფ. სილვესტროვს გაუმართავს აგურხანების საზოგადოება. იმ გაზეთში, რომელიდანაც ჩვენ მოგვყავს ეს ამბები, სწერენ, რომ გლეხები ძალიან კმაყოფილი არიან არტელებისა, ამიტომ რომ იმათში დიდ სარგებლობას ჰპოულობენ.

მართებლობის მოამბიდან მოგვყავს ზოგიერთი ცნობები ქსატომის გუბერნიის ხალხის განათლებასზე. ამ გუბერნიის სულ ითვლება ერთ მილიონ ნახევარი მცხოვრები ორივე სქესისა; ამ რიცხვიდან 1,033,000 სოფლები არიან, დანარჩენი კი ქალაქში სცხოვრობენ. სოფლებში მხოლოდ 88,000 კაცია იცის წერა-კითხვა, ე. ი. ას კაცში მარტო რვა. სულ მთელ გუბერნიის შარშან, 1869 წელს, 253 სასოფლო შკოლა იყო. ამ შკოლებში სწავლობდნენ 5,930 ვაჟი და 770 ქალი. შკოლებზე დაიხარჯა ამ წელიწადში—31,900 მან., რომლიდანაც 17,460 მან. თემობის იყო, 12,800 მან. თვითონ სოფლები-სა და 1,700 მან. კერძო პირებისაგან შენაწერი.

აი, რას სწერენ ვა. „რუსის ინვალიდში“ იმ მსწრაფ-მსროლელ ზარბაზანზე, რომელიც ღენერალ ბორლოვმა მოიგონა და რომელიც რუსის ჯარშია შემოღებული: თითოეული ბორლოვის ზარბაზანი შემდგარი ათის ლული-საგან, რომელიც უძრავათ არიან მიჭედლინი შუა რკინის ღერზე. ამ ზარბაზნის მოწყობილება თითქმის ყველა ახალად მოგონილ ზარბაზნების მოწყობილობას სჯობია. თითო ამის-

1) იაროსლავის გუბერნიის აზნაურობამ. 2) შიტბესკის გუბ. აზნაურობამ; 3) მინსკის გუბ. აზნაურობამ. 4) თილისის გუბერნიის აზნაურობამ. 5) ტულის გუბ. აზნაურობამ. 6) ბროდნოს ქალაქის საზოგადოებამ; 7) შიტბესკის ქალაქის მცხოვრებლებმა. 8) პოლომნას ქალაქის საზოგადოებამ. 9) პერეიაროსლავის ქალაქის საზოგადოებამ. 10) სუდოვოდის ქალაქის საზოგ. 11) შუისკის ქალაქის საზოგ. 12) რევეის ქალაქ. საზოგ. 13) შურომის ქალაქ. საზოგ. 14) შიტბესკის მოქალაქეებმა. 15) ღრისენსკის მცხოვრებლებმა. 16) ნოვოლოდის უფლის გლეხებმა. 17) პაზლოვსკა-პოვოლჟის მცხოვრებლებმა. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა მადლობის გადახდა ამ წოდებებისა მათი გრძობის გამოცხადებისათვის.

ამხანაგობით მუშაობა და ყოველივე საგნის წარმოება რომ სასარგებლოა—ამაში ის გვარწმუნებს, რომ არტელები (ამხანაგობები) ძალიან გავრცელდნენ რუსეთში ამ უკანასკნელ დროს. ჩვენმა მკითხველებმა იციან-რამდენი სარგებლობა მოუტანა ტყერის, ნოვგოროდის და სხვა გუბერნიების სოფლის მცხოვრებლებს მეყველებთ ამხანაგობებმა, რომელნიც უფ. პერესხაგინმა შემოიღო პირველათ რუსეთში.

ამ საგანზევე ამ მოკლე ხანში მოლაპარაკება იყო პეტერბურგის „ეკონომიურ საზოგადოებაში“ და ამოჩნდა, რომ მეყველებთ ამხანაგობებს გარდა, ბევრი სხვა რამეც მოჰყავთ თურმე რუსეთის სოფლებში ამხანაგობითა. შუ. წინდს გაუმართავს ტყერისა და ნოვგოროდის გუბერნიის 28 ამხანაგობა მკვლელების; თითო ამხანაგობაში რამდენიმე მკვლელი არიან თურმე და ერთად აწარმოებენ და ვაჭრობენ. შუ. სოკოლოვს გაუმართავს სელის მკვთებლების არტელ (ამხანაგობა) პსკოვის გუბერნიის შუ. ქამენცი მართავს სახამებლის ქარხანას, რომელიც არტელის საკუთრება იქნება. შუ. სილვესტროვს გაუმართავს ტყერის გუბერნიის რამდენიმე სხვა და სხვა საგნების მაწარმოებელი არტელები; და მხოლოდ პირველათ მოუშართავს ამ არტელებისათვის ხელი, შემდეგ კი თითონვე წაუყვანიათ თავიანთი საქმე; სხვათა შორის უფ. სილვესტროვს გაუმართავს აგურხანების საზოგადოება. იმ გაზეთში, რომელიდანაც ჩვენ მოგვყავს ეს ამბები, სწერენ, რომ გლეხები ძალიან კმაყოფილი არიან არტელებისა, ამიტომ რომ იმათში დიდ სარგებლობას ჰპოულობენ.

„მართებლობის მოამბიდან“ მოგვყავს ზოგიერთი ცნობები ქსატომის გუბერნიის ხალხის განათლებასზე. ამ გუბერნიის სულ ითვლება ერთ მილიონ ნახევარი მცხოვრები ორივე სქესისა; ამ რიცხვიდან 1,033,000 სოფლები არიან, დანარჩენი კი ქალაქში სცხოვრობენ. სოფლებში მხოლოდ 88,000 კაცია იცის წერა-კითხვა, ე. ი. ას კაცში მარტო რვა. სულ მთელ გუბერნიის შარშან, 1869 წელს, 253 სასოფლო შკოლა იყო. ამ შკოლებში სწავლობდნენ 5,930 ვაჟი და 770 ქალი. შკოლებზე დაიხარჯა ამ წელიწადში—31,900 მან., რომლიდანაც 17,460 მან. თემობის იყო, 12,800 მან. თვითონ სოფლები-სა და 1,700 მან. კერძო პირებისაგან შენაწერი.

აი, რას სწერენ ვა. „რუსის ინვალიდში“ იმ მსწრაფ-მსროლელ ზარბაზანზე, რომელიც ღენერალ ბორლოვმა მოიგონა და რომელიც რუსის ჯარშია შემოღებული: თითოეული ბორლოვის ზარბაზანი შემდგარი ათის ლული-საგან, რომელიც უძრავათ არიან მიჭედლინი შუა რკინის ღერზე. ამ ზარბაზნის მოწყობილება თითქმის ყველა ახალად მოგონილ ზარბაზნების მოწყობილობას სჯობია. თითო ამის-

თანა ათ-ლულიან ზარბაზანს ოთხი სალდათი უნდა სატენათ და სასროლოთ; მინუტის განმავლობაში ბორლოვის ზარბაზანი 350 ჯერ ისერის. მასაკვირველია აგრეთვე; რომ იმას ძალიან სწორათ ამოჰყავს მიზანში; თუ გამრცდილი სალდათები ისერიან: გამოუტდით, რომ 300 საყენეს ის ერთსაც არ დაიცილებს; 400 საყენზე ასში, საშუალო რიცხვით, რვაჯერ დააცილებს; 500 საყენზე (ერთ ვერსზე) ოცდა ხუთჯერ, და 700 საყენზე მარტო ოცდათხუთმეტჯერ ამოიყვანს მიზანში.

წრეანდელ; 1870, წელს მაკარის იარმუკაში სულ—142,913,000 მანეთის საქონელი მიუტანიათ სხვა და სხვა ქვეყნების ვაჭრებს გასასყიდლოთ; ამ რიცხვიდან 125,330,000 მანეთის საქონელი გაყიდულა. მაკარიაში რომ ვაჭრობა თან და თან უკეთ მიდის—ის გვიმტკიცებს, რომ ამ ოცი წლის წინეთ იქაურ იარმუკაში მარტო—50,000,000 მილიონი მანეთის საქონელი ისყიდებოდა.

შოლვაზე და მკაზე ხომალდები აღარ დადიან 16 ნოემბრიდან, რადგან ეს ორი მდინარე სრულიად გაყინა.

ხერსონის გუბერნიის თემობამ, როგორც „მდღის მოამბეში“ იწერებინ, შემდეგი დაწვევებილებები დასდვა: 1) შნა გამართოს სასოფლო ბანკები, რომლისთვისაც თვითონ თემობა მისცემს 150,000 მანეთს. ამ ბანკების დანიშნულობა ის იქნება, რომ მეურნეობის თუ სასოფლო სახლოსნობის გაუმჯობესობაში დაეხმაროს სოფლის მცხოვრებლებს. 2) მდღესში უნდა გახსნან სამეურნეო სამკლასიანი შკოლა, რომელშიაც უპირველესი ყურადღება სასოფლო სახლოსნობას ექნება მიქცეული და 3) ფერშლების და ბებების მოსამზადებელი შკოლა.

ოქის აზებუი

უკანასკნელი ამბები ბრძოლის ველრიდან, როგორც სჩანს, სასურველი არ არიან ფრანკუზებისათვის. მაგრამ არც ისე დაღუპულა ჯერ იმათი საქმე, რომ უკეთესი მომავლის იმედი დაკარგადეთ. მართალია, იმათ ვერ ასრულეს თავიანთი გულის წადლი, ე. ი. პარიჟის არმიამ ვერ გააპო გარს შემორტყმული ნემცების ჯარი და ვერ შეუერთდა ლუარის არმიას; ვერც ლუარის არმია მიუახლოვდა პარიჟს და ვერ დაიხსნა ის; მეორეს მხრით ნემცებმა აიღეს, ამ უკანასკნელ დროს, ახლანდელი მმართველობის სადგომი ქალაქი-ტურინი, რუანი და სხვა ადგილებიც დაპირეს. მაგრამ ყველა ეს გარემოებები არ ამტკიცებენ; რომ საფრანგეთის მდგომარეობა უიმედო იყოს. თუ ფრანკუზებმა ვერ ასრულეს ის პლანი, რომელიც 29 და 30 ნოემბერს უნდა აესრულებინათ, რამდენჯერმე დამარცხდეს მანცა ნემცები და ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო მომატებული იმედი, მხნეობა და თავგამომეტება სამშობლოს დაცვისათვის, უწყვეტია; ნაყოფს მოუტანას ვაჭირებელს საფრანგეთსა. ნემცები იწერებოდნენ, რომ მორლენთან დამარცხების შემდეგ, ლუარის არმია სრულიად დაიშალა და დაიფანტა და იმის შიში შემდეგში აღარ უნდა გქონდეს. მაგრამ ის გარემოება, რომ მორლენს ქვევით (მენგთან და ბოჟანსისთან) ლუარზე არმიის წინამძღოელი-შანში—თითქმის ოთხი დღე (6 დეკემბრიდან 10 მდრ) ვბრძოდა მეკლენბურლის გერცოგს, იმტკიცებს, რომ ლუარის არმიის დაფანტვა ასე ადვილი საქმე არ არის. მორლენის მეორეთ აღების დროს ნემცების მხრით იყვნენ ჭრილობა-პარლის და მეკლენბურლის გერცოგის ჯარები—სულ 175,000 კაცი; ფრანკუზებსაც ამდენი ეყოლებოდათ, მაგრამ იმათ ცუდი

ალაგი უკირათ და ზოგი ამასა და ზოგი მორლენ-პალადინის (მაშინდელი ლუარის არმიის წინამძღოლის) ცუდი განკარგულებების გამო ისინი დაამარცხეს. მორლენთან დამარცხების შემდეგ, ლუარის არმია ორ ნაწილათ გაიყო, ისე როგორც ნემცებისაც, და ერთმა ამ ჯარაგანი დაიწვია ბლუასა და ტურისაკენ და, როგორც ზევით ვთქვით, რამდენჯერმე შეება მეკლენბურლის გერცოგის არმიას. ამ შეტაკების დროს, როგორც სჩანს, არც ერთ მხარეს არ გაუმარჯვნია, რადგან ორივე, ფრანკუზებიც და ნემცებიც, იწმებენ გამარჯვებას. ჭრილობა-პარლი კი მეორე მხრით მიდის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ—ბურჟისაკენ, საითაც გასწია ლუარის არმიის მეორე ნაწილმა. უკანასკნელი ტელეგრამმა გეაცნობებს, რომ ნემცებს ტური დაუტერიათ დი იქაური მმართველობა ბორლოში გადასულა. შანში კი 100,000 ჩრდილოეთის ჯარს შეერთებია და ლე-მანსთან გამარჯვებულა. ამ დღებში აქ, ლე-მანსთან; დიდი ამბები მოხდება, რადგან ორივე მხრით ორას-ორასი ათასი კაცი შეეგმებინ. ლე-მანსში ხუთი რკინის გზა იყრის თავს, და ამიტომაც ამ ქალაქის დაჭერა ნემცებისაგან ძალიან მინებელი იქნება ფრანკუზებისათვის, მაგრამ თუ აქ გამარჯვებს ფრანკუზებმა, მაშინ ლუარის არმია ხელახლავ შეუდგება თავის ძველ პლანის ასრულებას, ე. ი. პირდაპირ გასწევს პარიჟისაკენ და დაეხმარება პარიჟის არმიას იმ რკინის სარტყელის გაგლეჯას; რომელსაც ნემცების ჯარები შეადგენენ.

ნემცებმა რომ ღიჟონი აიღეს, მარიბალი თავის რვა ათასის ჯარით მტენისაკენ წავიდა. 2 დეკემბერს მტენს მოადგა ათი ათასი ნემცების ჯარი, მაგრამ მარიბალიმ ორჯერ უკუაქცია ისა. ბრძოლის დროს თვითონ მარიბალი და იმის ვაჟი—რიორტი—მუქამ წინ მიდიოდნენ თურმე ცეცხლში და, თავის დაუზოგავთ, გბრძოდნენ ნემცებს. ამბობენ, რომ ის აგროვებს თავისუფალ მსროლელებს და მომატებული ჯარით უნდა დაეცეს ღიჟონს და ხელახლავ წაართვას ის ნემცებსაო. ღიჟონის მცხოვრებლებს ძალიან დიდი იმედი აქვთ მარიბალისა.

ამას წინეთ სწერდნენ გაზეთებში; რომ ნემცებს სურთო, რომ რომელიმე საფრანგეთის ზღვის ნაპირა ქალაქი დაიპირონო, იმისთვის რომ ადვილათ შეეძლოთ ინგლისიდან ხორაგის მოტანაო. ახლა მოვიდა ამბავი, რომ იმათ დაუტერიათ ღიჟონი და ღიჟონი, რომელიც ღიჟონთან არიან, ლე-მანის ნაპირას. მაგრამ ღიჟონის ნავსადგური კი ჯერ არ ჩაუგლიათ ხელში. მეორე დიდ ნავსადგურ ქალაქში-შერბურში-ფრანკუზები მაგრდებინ და თავ-გამომეტებით აპირებენ იმის დაცვას.

შოველი მხრიდან ისმის, რომ პარიჟში დამწყვედი ფრანკუზები ძალიან ვაჭირებამაში არიანო; ისინი კატის, ძაღლის და სხვა უფარვისი პირუტყვების და ფრინველების ხორცს სჭამენო. მაგრამ ის გარემოება, რომ ნემცებს ინგლისიდან უნდათ ხორაგის მოტანა, ამტკიცებს, რომ იმათაც უჭირს სურსათის შოვნა. ამას ვარდა თვითონ შერბურში ძალიან უკმაყოფილებია იმაზე, რომ ამდენი ხანი ვერ აიღეს პარიჟი და აუარებელი ხალხი იხრცება პარიჟთან, თუ სხვა და სხვა ავითყოფობით და თუ ომში. ნემცების განუთებში სწერენ, რომ შიმშილით ალება პარიჟისა, როგორც სჩანს, ძნელი საქმე ყოფილაო; რადგან ისმის, რომ იქ ჯერ ორი თვის სამყოფი ხორაგი კიდევ მოეძებნებათო. მაშ როგორ უნდა ავილოთო? ჰკითხულობს ერთი ნემცური გაზეთი. ზარბაზნების დაშენა არ შეიძლება, რადგან სანამ ფირტებს არ ავიღებთ, ჩვენი ზარბაზნების ყუმბარები, სიშორის გამო, ვერას დააკლებენ ქალაქსო; და მტურით ალებამაშე უფრო შეუძლებელი საქმეაო. როგორც სჩანს, ნემცებს იმის იმედი აქვთ, რომ ლუარის არმიის დამარცხების შემდეგ, პარიჟი

რუსეთი

მოგვყავს კიდევ სია იმ წოდებებისა, რომელთა უმორჩილესი ქვეშევრდამობის გრძობა განუტყდადს ხელმწიფე იმპერატორს, თ. ი. ნიკოლაის ცირკულიარის გამო.

თავის თავით დამორჩილება ნემსებს და ამასთან მთელი საფრანგეთიც აღიარებს თავის თავს დამარცხებულად და მორიგებას მოინდობს. მართლაც, მორიგებთან ლუარის არმიის დამარცხების შემდეგ, მოლტკემ გაგზავნა თურმე კაცი პარიჟში და შეატყობინა ტროშუს ეს ამბავი. მაგრამ სჩანს, რომ საფრანგეთის პროვინციების დაქვეა არ დააყრდენებს პარიჟელებს თოფ-იარაღსა და არც, მეორეს, მხრით პარიჟის დამორჩილებით შეიძლება მთელი საფრანგეთის დაწყობა.

— პარიჟისა და ლუარის არმიის გარდა, რომლებშიაც 500,000 კაცად იქნება, საფრანგეთის სხვა და სხვა ადგილებში აი, რაძენი ჯარია ახლა: ბურბაკის (მე-19) კორპუსი—25 ათასი, ტურში (მე-17 კორპუსი)—30 ათ., მანდამში—35 ათასი; ამას გარდა ნევერთან და ბურჟთან იქნება 50 ათასი კაცი. შეველა ეს ჯარები იმდენათ არიან გაწვრთნილი და დაარაღებულნი, რომ ყოველს ჟამს შეუძლიანთ დახედვნი მტერსა.

— ჩრდილოეთის არმიის წაურთმევია ნემსებისათვის შამის სიმაგრე და 200 ნემცი დაუტყვევებია. ამას გარდა ქ. სან—ტენტი ისევ ფრანკუნებს დაუტყვევია.

— „საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურს გაზეთში“, რომელიც ბორდოში გამოდის ახლა, საცა მმართველობაც გადავიდა, გამოცხადებულია, რომ შინის არმია, 29 ნოემბერს, დილის რვა საათიდან ეიდრე საღამოს ექვს საათამდე ებრძოდა ნემსებს და კიდევ დამარცხა ისინი. შრანკუნებს დაუტყვევებიათ ამ დღეს 400 ნემცი და ერთი სოფელი ხელ-ახლავ წაურთმევით ამათვის. დატყვევებულნი ამბობენ, რომ ფრანკუნების მიტრალიერებმა დიდი ზიანი მისცა ჩვენ არმიასა. შრანკუნების მხრითაც ამ დღეს ბევრი დაჭრილა და დახოცილა.

— სამი კვირის წინეთ ნემსებს იმედი ჰქონდათ, რომ დეკემბრის დასაწყისში პარიჟი დაყრის თოფ-იარაღს და დეკემორჩილება. ისინი ხორავსაც ამბადებდნენ თურმე პარიჟისათვის და კაპიტულაციის შაიც მზათ ჰქონდათ. ამ კაპიტულაციის პირობაში სხვათა შორის ეწეოთ თურმე, რომ რაც პარიჟში სამხედრო იარაღები და მასალებია ყველა უნდა მოგვეცეს, სანამ მორიგება არ მოხდება. შემდეგ ნემსების არმია უნდა შესულიყო პარიჟში და იმათით ერთი მილიარდი ფრანკი კონდობული უნდა გადაეხდებინათ. ბერმანიელები დარწმუნებული არიან, რომ, პარიჟი თუ დაეცა, საფრანგეთის პროვინციები ევლარ შეიძლებენ ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ, როგორც სჩანს, ისინი სცდებიან.

— მერსალიდამ იწერებინა ერთს ნემსებს გაზეთში, რომ პარიჟის პირდაპირ ნემსებს გაუმართავთ 300 ზარბაზანი, რომლითაც უნდა აიღონ პარიჟი. მითო ზარბაზნისთვის 500 ყუმბარა არის დამზადებული. ასე რომ პარიჟის ყუმბარების დასაშენათ ყველაფერი მზათ არის თურმე, მხოლოდ პარუსის კოროლის ბრძანება აკლია.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

პარიჟიდან გამოსვლის წინეთ პარიჟის მეორე არმიის წინამძღოლმა—ლიუკრომ—გამოსცა შემდეგი პროკლამაცია თავის სალდათებისათვის:

„საღალატებო! მოაწია ჟამმა, როდესაც ჩვენ უნდა გავაბათ ის რკინის სარტყელი, რომელიც დიდხანია გვარტყია და დღეობას გვემუქრება. თქვენ გხვდით ამ დიდი საქმის შესრულება და მე დარწმუნებული ვარ, რომ ღირსეულათ შეასრულებთ იმას. შექველია, პირველათ ჩვენ გავიჭირდება საქმე; თავიდანვე ჩვენ უნდა შევებათ ისეთს მტერს, რომელიც

გამაყვებელი და გადიდებულულია თავის გამარჯვებითა. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ამ მტრის დამარცხება. ამ საქმეს გავიადვილებთ ის 400 ზარბაზანი ზარბაზანი, რომელიც ჩვენ ფორტებზე დგას. რომელი მტერი გაუძლებს ამ ზარბაზნებსა და 150,000 კარგათ დაიარაღებულ და მამულის სიყვარულით აღტაცებულ სალდათებს? მაშ მხნეთ იყავით და თავის თავის იმედი გქონდეთ! ნუ დაიფიცებთ, რომ ჩვენ ვომობთ ჩვენი თავისუფლების, პატივისა და ძვარფასი, მაგრამ უბედური, მამულის დასაცველათა. და თუ ეს აზრი ეგრავანთებთ თქვენ, მაშინ წარმოიდგინეთ თქვენი აობრებული მინდვრები, თქვენი დანგრეული სახლ-კარი, თქვენი დაღარბებული და დაღონებული ცოლ-შვილი და დედ-მამა. ნუ თუ, ამისთანა ფიქრების გამო, თქვენ არ ჩაგენერგებათ გულში ისეთი მტრობა და გაზვიადება, რომ ჯერის ამოსაყრელათ დაზოგავთ სიცოცხლესა და არ შეაფურთხებთ პირში შიშსა და თითქმის სიკვდილსაც? მე რაც შემეხება, დიდი ხანია გადაეწყვიტე, რომ ან მკვდარი და ან გამარჯვებული უნდა დავბრუნდე პარიჟში: მიწაზე დავარდნილს კი მნახეთ და მტერს რომ ზურგი უჩვენო—იმას კი ევრავინ ნახავს. ჩემი სიკვდილი უფრო გამაზნევებთ თქვენ და იმისათვის პასუხი გავცით მტერსა. ახლა კი, ღეთის შეწევნით, გაესწიოთ მტრისაკენ! წინამძღოლელი პარიჟის მეორე არმიისა—**ა. ლიუკრო**“.

— საფრანგეთის მმართველობის ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია მოლტკეს წიგნი, რომლითაც იმან აცნობა ტროშუს, რომ მორიგებთან ჩვენ გავიმარჯვებთ და ეს ქალაქი ხელახლავ წაურთვით ლუარის ირმიასა. ამ ამბის შემდეგ ტროშუ ამბობს: „ეთქვათ, რომ ეს ამბავი, რომელიც მტრისაგან შეეიტყეთ, მართალია. ჩვენ მაინც არ დავკარგავთ პროვინციების დახმარების იმედსა. ჩვენ ჩვენი გადაწყვეტილება და ვალდებულება არ უნდა დაივიწყოთ; და ეს გადაწყვეტილება მდგომარეობს სამ სიტყვაში: ჩვენ უნდა ებრძოლოთ! მაუმარჯოს საფრანგეთს! მაუმარჯოს რესპუბლიკას!“

— ტროშუს ადიუტანტი—მნიკური—აეროსტატით გადაფრენილა პარიჟიდან ლილში. სხვათა შორის იმას ულაპარაკნია, რომ 30 ნოემბ. და 2 დეკემბერს პარიჟის (ლიუკროს) არმიამ დამარცხა ნემსები, რომლების მხრით ამ ორი დღის განმავლობაში 15,000 კაცი დახოცილა; ამას გარდა ფრანკუნებს წაურთმევით იმათის ექვსი ზარბაზანი და რამდენიმე ასი ტყვე. მითონ პარიჟის მდგომარეობაზე მნიკურს უთქვამს, რომ საკმელ-სამელი ჯერ-ჯერობით იმდენი აქეთო, რომ შიმშილს არავინ არ გრძნობს; ხალხი ალგზნებულია მამულის მოყვარობით და არავითარი უთანხმოება და შუთითი იქ არ არის. მნიკური იმისთვის გადმოფრენილა პარიჟიდან, რომ იქაური სამხედრო მთავრობის განზრახვა და პლანები შეატყობინოს ლუარის, აღმოსავლეთის, დასავლეთის და ჩრდილოეთის არმიებსა და ამ განზრახვისა დაგვართ ამ არმიებმაც იმოქმედონ.

გერმანია

ჩრდილოეთ-ბერმანიის რეისტრში წაიკითხეს შემდეგი ადრესის პროექტი პარუსის კოროლთან:

„შეგუსტავსო, ყოვლად ძლიერო და ყოვლად მოწყალეო ხელმწიფე! თქვენი უდიდესობის მოწვევით ხალხი შეიკრება თავის წინამძღოლებთან და გმირულათ შევიდა საფრანგეთში, იმისათვის რომ დაიკვას თავის სამშობლო. მნიანობა მოითხოვს დიდმსხვერპლს, მაგრამ მწუხარება თავის მხნე შეილებს დაკარგვავ ევრ შეარყევს ჩვენ ხალხს, რომელიც, სანამ საიმედო სამზღვრებს არ შემოავლებს თავის სამშობლოს, მანამ არ დასდებს

თოფსა. იმ გამარჯვების წყალობით, რომლით თავის თქვენ უდიდესობას უნდა უბადლოდეთ, ბერმანიის მოვლის მკვიდრი ერთობა. ჩრდილოეთ-ბერმანიის რეისტრები და ბერმანიის ხელმწიფეები გთხოვენ, იმპერატორის გვირგვინით დაგვირგვინებით, დაბოლოვით ბერმანიის შეერთება. თქვენს თავზე ბერმანიის გვირგვინი ძლიერებას, შეიღობიანობასა და კეთილდღეობას მიანიჭებს განახლებულს იმპერაას. მამული მადლობას უძღვნის წინამძღოლსა და მხედრობას, რომელიც ჯერაც არ დაბრუნებულა ბრძოლის ველიდან; ამ მხედრობის თავის—შეწირვა და სიწმინდე მამულს არ დაეიწყებდა. იმედი გექვს, რომ გამარჯვებული იმპერატორი მალე მიანიჭებს ხალხს მშვიდობიანობასა. თქვენი უდიდესობის ქვეშევრდომი რეისტრები ჩრდილოეთ-ბერმანიის კავშირისა.“

ამ ადრესზე, რომელიც დეპუტატი ლასკერისაგან არის შედგენილი, 153 რეისტრების წევრმა მოაწერა ხელი. ექვსმა კი უარი თქვა ხელის მოწერისა.

ამ კვირის ტელეგრაფები.

ს. პეტერბურღი, 13 დეკემბერს. ჩრდილოეთის და დასავლეთის (შერბურის) არმიები მიდიან ლე-მანსისაკენ, სადაც შანზი დგას თავის ლუარის არმიითა.

— პრუსიელებმა დაიჭირეს ტური.

— იტალიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალით მმართველობის რეზიდენცია რომში უნდა გადაიტინონ.

ს. პეტერბურღი, 14 დეკემბ., ინგლისის მმართველობამ იმპერატორობის ტიტულის მიღება მიულოცა პრუსიის კოროლს—მილელმსა.

წარსულ პარასკევს, 11 (25) დეკემბერს, ამიენთან შეებნ ერთმანეთს მანტუაილისა და ჩრდილოეთის არმიები. მერც ერთმა მხარემ ვერ გამარჯვა.

ს. პეტერბურღი, 15 დეკემბ. პარიჟთან არაფერი ახალი ამბავი არა მომხდარა.

— შრანკუნების ჩრდილოეთის არმია ებრძვის ნემსებსა და... სისაკენ; პრუსიელებმა... ს. პეტერბურღი, 16 დეკემბ. ნების ჯარები საფრანგეთის აღმოსავლეთ-ხრეთიდან პარიჟისაკენ მიდიან.

ნაკრები

— იმ კანონის ძალით, რომელიც გამოსცა ამის ნეთ დროებშია მმართველობამ, მთელი საფრანგეთი სამხედრო ბანაკით გაიყო და ამ ბანაკებში შეიკრიბნ ყველანი, ვისაც თოფ-იარაღი რება შეუძლიათ. მათს ამისთანა ბანაკში მოათავსებენ მილიონი მამულის დამცველი (თითო ნაკში იქნება 250,000 კაცი); დანარჩენ ბანაკთაში შეიკრიბებიან 60,000 სალდათი. მამულს ყველა ბანაკში მოგროვდება—1,400,000 კაცი კორპუსებსა და პოლკებს გარდა, რომელნიც ახლად ქმდებიან. ამას რომ ნაციონალური გვარდია და გვარი ჯარები დაუბადოთ, ერთი ფრანკუნული თის სიტყვით, საფრანგეთში მალე შეიკრიბებიან ჯარი შესდგება. შეიდი მილიონი გადავით და ერთი მილიონი კარგათ გაწვრთნილ დაიარაღებულ ჯარი რომ ჰყავდეს ახლა საფრანგეთში არ უნდა, ისიც დაიხსნის ამ გაჭირვებისაგან.

— სტრასბურღისა და მეცის ხელიდან გაშვებას არიან ნემსები. პრუსიის კოროლს ბრძანება გარდა რომ მეცი რაც შეიძლება კარგათ გაამგროვოს და თავის იქ გაუგზავნა ინჟინრები და არტილერიის ცრები. იქაც და სტრასბურღისა თითქმის ყველა სამართლოები ნემსეურათ გაუმართავთ და ნემსების ნაგენიკები ცალმეილით მიდიან იქ თურმე და დღეშით ეხახლებია.

— თვისუფალ მსოფლუმების ჯარში ურევა ერთი ქლი, რომელიც რამონჯერმე ყოვილა მლაში და ძლიან მარჯვედაც უღამნია. ამ ქალსელი სიცოცხლე სამხედრო ბანაკებში გაუტარებდა დასწრება პარიჟის და იტალიის ომში; ის ლია ორი ვაჟი არმიში და ორივე ამ ომიანობაში უწირავს სამშობლოსთვის; ერთი მეცთან მოუტა და მეორე-კაცმა არ იცის—სად დაკარგულა. მეცი პიტულაციის შემდეგ, მმართველობს ნებართვით ქალი ჩარიცხულა თავისუფალ მსოფლუმების ატონ და თავის სიამაყით სახელი დაუმსახურებია.

გაჩვენებული იმისა თუ—რა დროს რომელი ქიმი მიიღვას ავითმყოფებს თუ ლისის სამკურნალოში.

	9 საათიდან—10-მდე	10-დან—11-მდე	11-დან—12-მდე	12-დან—1-მდე
ორშაბათს	შინკევიჩი იარის სენისა. იონესიანი დედათა სენისა.	ტელიაფუსი—დედათა და ყმა-წვილების სენისა.	ბარალევიჩი—შიგნით სენისა. ბლოვაცკი—ყვარწვილ. სენისა და ყვეილის აკრ.	ლისიციევი—შიგნით სენისა. ბლიუმბერგე—ბლიუმბერგე თვალის სენისა.
სამშაბათს	ბროშნევესკი—იარის სენისა. მერშიშევი—სტრამაქის სენისა.	ფურიჩოვი—სტრამაქის სენისა.	ბასტამოვი—ტყვის სენისა და იუწყისა.	როტინია—შინგანის სენისა. ტერ-ასატროვი—შინგანის სენისა.
ოთხშაბათს	პრისოლკოვი—გულისა და სიღამბლის სენისა. შახპარუნოვი—სტრამაქის სენისა.	მორლანდოვი—შიგნით სენისა. ფურიჩოვი—სტრამაქის სენისა.	ლისიციევი—შინგანით სენისა. ქუნოციკი—შიგნით სენისა.	სკოროვი—იღუმლო ავთმყოფობისა. ბაბოვი—გლისა და საიღუმლო ავთმყოფობისა.
ხუთშაბათს	ბროშნევესკი—იარის სენისა. მერშიშევი—შიგნით სენისა.	ფურიჩოვი—შიგნით სენისა. იონესიანი—დედათ სენისა.	ტელიაფუსი—დედათ და ყმარწვილების სენისა.	როტინია—შიგნით სენისა.
პარასკევს	შინკევიჩი—იარის სენისა. შახპარუნოვი—სტრამაქის სენისა.	ლისიციევი—შიგნით სენისა.	ბლოვაცკი—ყვარწვილების სენისა და ყვეილის აკრისა.	პავლოვსკი—და მალალოვი—შინგანითმყოფობისა.
შაბათს	პრისოლკოვი—გულისა და სიღამბლის სენისა. ბელიდემან—საიღუმლო სენისა.	სციპურა—შიგნით სენისა.	სკოროვი—ყურისა, ყელისა და გულის ავთმყოფობისა. ტალკო—ფელის ავთმყოფობისა.	პარასოვლოვი—შინგანითმყოფობისა.